სამშობლო

წ. I 1915 წ. კარასკევი 3 აპრილი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ... ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 47 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 47

ეროვნული ბიბლიოთეკა

"სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„სამშობლო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

მოსკოვში გარდაიცვალა

ვლატონ პავლეს ძე ქავთარაძე,

რასაც უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი, და, სიძე და ძმა. განსვენებულის ცხედარს მოასვენებენ დაბა ახალ-სენაკში.

2—2

კვირას, 5 აპრილს, ნახევარი წლის შესრულების თავზე კულაშის ჯვარცმის ეკლესიაში წირვის შემდეგ თორმეტ საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი დამსახურებული დეკანოზის

ერმალაოზ ლუკას ძის კანდელაკის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ქვრივი ივდითი ახვლედიანის ასული კანდელაკისა და შვილები: ვასილი, ოლიმპიადა, ეკატერინე, ქეთევანი, თამარი, დათიკო და აკაკი.

1—1—145

ქალაქის თეატრი

გასტროლი ნინო ჩხეიძისა

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ შაბათს, 4 აპრილს,

ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა ებრაელთა ცხოვრებიდან

ი ვ დ ი თ ი.

ტრაგედია 5 მოქ. თარ. ივანე მაჩავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი,

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი,

ფასები ჩვეულებრივია.

ანონსი: კვირას 5 აპრილს უკანასკნელი გასტროლი ნ. ჩხეიძისა. წარმოდგენილი იქნება „ქალის სამშობლო".

ყოველი მეაბრეშუმეთათვის ცნობილი ფირმის

„ძმათა პასხალიდის"

აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;

ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. ჯორჯიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права"

Проф. Л. І. Петражицкаго. ფასი 6 შაური თ.

ქ. ქუთაისი

მოსკოვის ფირმის განყოფილება

ამხანაგობა

„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი"

გიმნაზიის ქუჩა საკუთ. სახლი.

ოთმას კვირაში

30 მარტიდან 4 აპრილამდი

დანიშნულია

დიდი იაფი ვაჭრობა

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისას.

ელექტრო-თეატრი „რადიუმი".

დღეიდან, ხუთშაბათი, მიწპრილი, ნაჩვენები იქნება ბრძოლის ახალი გეგმა

სენსაციას! სენსაციას!

მარსელიეზი

1792 წ. საფრანგეთის ჯარის გამარჯვების სიმღერა. (საიდან წარმოდგა ეს სიმღერა).

„ვანდი ტრერ ... ჟიმონ და ვიგო ლორენი"

დრამა სამ მოქ. ... ამოსრულებული საუკეთესო მსახიობებისაგან.

პიანისტი ა. ო. ოქსენგაუტი, მოწ. კიევის კონსერვატორიისა (პრ. პუხალისა) დაუკრავს მარსელიოზას.

რუსული სამხედრო ქრონიკა

გამოც. პეტროგრადის სკობელევის კომიტეტისაგან.

მესამე სერია. ავსტრიის საზღვარზე

ნამდვილიდან.

ალუა შემორტყმული ასალად ჯვარდაწერილები

კომიკური სურათი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

ანონსი: ოთხშაბათიდან, 6 აპრილიდან, „ქმარი".

არციბაშევის რომანი 4 ნაწილათ. უმთავრეს როლს შეასრულებს ქუთ. საყვარელი მსახიობი ვარიაგინი.

გაფრთხილება.

ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ ბაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათას გვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის

ხ. ხრისტოდულიდის

გასუდი წდების მსგავსად წელსაც მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მეადგილენი შეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი", აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი", შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი" რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის" და ს/ს გოკიელოვის შ—ბის", აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სამთელდს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს არგვლივ შემოეღებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

თესლის გაყიდვა გაქელდება.

გამოცდილი რუსი

მასწავლებელი ქალი.

სპეციალისტი რუსულსა და მათემატიკურ საგნებში ამეორებიებს და ამზადებს მოსწავლე ქალებს ყველა კლასისათვის. თანახმაა იმასწავლებლოს სოფლათაც.

მისამართი: ძველი თფილისის ქუჩა, სახლი ცნობილაძისა, ბინა მასწავლებელ ფიოლკოვისა. 5—4—135

სტუდენტი,

უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისთვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე" და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: ძველი თფილისის ქუჩა ეორეულაძის სახლი. 14—4

კბილის მენალარიშვილი და ტრუფა-ეძიმები. ნოვა, დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

სტუდენტი

ვარლამ ფერაძე (9 წლის პრაკტიკით)

ვამზადებ და ვუსწორებ გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს ყველა საგანში. (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ ლეჟავას მაღაზიაში დეკეიძის სახლი.

14—11

ექიმი ი. ჩარეიძოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტროლინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

საჭიროა

გამოცდილი მოსამსახურე ქალი ბავშვის მოსავლელათ. მსურველს შეუძლია მიმართოს პუშკინის ქუჩაზე, ჭეიშვილის სახლში მ. თ. ბურდეინს, ნაშუადღევის 3—4 საათამდის.

3—3 უ

ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 1 აპრილი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. კარპატებზე უფოკის მთაგრეხილის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ღამით, 31 მარტს, ჩვენმა ჯარმა ცოტათი წინ წაიწია და მტრის განმეორებით მოტანილი იერიში ვოლოსატე—ბუკოვეცის ხაზის სამხრეთით მდებარე სიმაღლეებზე მამაცურათ მოიგერიეთ. 1000-დი დავატყვევეთ და ორი ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. მტერი ცდილობდა კოზიუვკიდან სამხრეთით მდებარე სიმაღლეებზე და ჩერნოვიცას რაიონში მდ. პრუტის მარცხენა ნაპირზე იერიშის მოტანას, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჩვენი ფრონტის სხვა ადგილებში სრული სიწყნარეა.

პეტროგრადი. 1 აპრილი. კოზიუვკის

რაიონში სტრიისის გზით მეტათ შეუპოვარი ბრძოლა იყო. მტრის იერიში და ჩვენი კონტრ-იერიში ერთმანეთს მოსდევდა. მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლა იყო. მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ. გერმანელები ძალიან დამარცხდენ. არტილერიისა, ტყვიისმტყორცნელისა და თოფების ცეცხლით გერმანელების მთელი როტები გავანადგურეთ. ტუხლიდან დასავლეთით მდებარე სიმაღლეებზეც მტრის მიერ მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ.

სტანისლავოვიდან სამხრეთით მყოფ ჩვენს ჯარზე მტერი შეეცადა იერიში მოეტანა, მაგრამ ფიცხლავ შევაჩერებდით ხოლმე. ღამით, 29 მარტს, მტერს გააფთრებული იერიშები მოჰქონდა შხაპუნა წვიმის დროს მთელ ფრონტზე. ავსტრიელებს ჩვენს პოზიციებზე ჯგუფურათ მოჰქონდათ იერიშები, მაგრამ ჩვენი ჯარი ხიშტებით უხვდებოდა მტერს და მრავლად ანადგურებდა; სიკვდილს გადარჩენილები თავზარდაცემული გარბოდენ. მტერი აქაც ძალიან დამარცხდა. სანგრების წინ დახოცილთა აურაცხელი გვამები ეყარა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 31 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა, მთელ ფრონტზე დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა. სხვადასხვა პუნქტებზე დაჭერილი პოზიციები შევიმაგრეთ. ჩვენი ჰაეროპლანები ვინიერანვერში სამხედრო ანგარებს მხნეთ უშენდენ ყუმბარებს და შორი-ახლო მიმავალ ბატალიონებს ჰფანტავდა.

31 მარტს, დღის სამ საათზე ზღვის ფრონტზე მდ. ენამდი შესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არტილერიის სროლას, რომელიც დრო გამოშვებით გაისმოდა ხოლმე. ბერიბაკის აღმოსავლეთით მტრის თხრილები დავიპირეთ. არგონებზე ნაღმებითა და სახელდახელო ყუმბარებით ბრძოლა გრძელდება. მაასსა და მოზელს შუა ფრონტზე დღემ შედარებით მშვიდობიანათ ჩაიარა. ზოგ ადგილებში ჩვენმა ჯარმა მტრის მავთულების ღობესა და საგერ ხაზებს მიაღწია.

სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

პეტროგრადი. 31 მარტი. საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ საფრანგეთის ჯავშნოსანმა „სენლუიმ“, 30 მარტს, ჰიდრო-ჰაეროპლანებთან შეერთებული, გზასთან ოსმალების ბანკს ყუმბარები დაუშინა. გერმანელების წყალქვეშა ნავებისგან წყალში ჩაყრილი ნაღმები ზოგი ლამანშში დაიპირეს და აღმოჩნდა, რომ ამ ნაღმებს საგანგებოთ ისეთი მექანიზმი ჰქონიათ გაკეთებული, რომელიც ავტომატიურათ სპობს მცურავ ნაღმებს, თუ მიზანს ვერ მოხვდა. ასეთი ნაღმების ხმარება ჰაააგის კონვენციით არის აკრძალული და მისი ხმარება ხელახლათ საერთაშორისო უფლებათა დარღვევას ნიშნავს.

მინსკი. 1 აპრილი. მინსკზე გაატარეს ტყვე ავსტრიელი და გერმანელი ჯარის კაცები და აფიცრები, რომელთაც ლუშინეცში მოათავსებენ. ომის დაწყებიდან დატყვევებულია სულ 2451 აფიცერი და 165175 ჯარის კაცი.

ლონდონი. 1 აპრილი. კუნძულ ტენედოსადან იტყობინებიან, რომ 30 მარტს, ინგლისის სამხედრო გემები „ლენარდი“ და „ლონდონი“ დარდანელში ათი მილის მანძილზე შევიდა. აზიის ნაპირზე მყოფ ოსმალეთის ბატარეებმა გემებს სროლა აუტეხეს. გემები უვნებლათ გადარჩენენ. ოსმალეთის ბატარეებზე სიჩუმეა.

ნაში. 1 აპრილი. დილით, 28 მარტს, მტრის კანონერკამ ბელგრადს ზარბაზნებიდან რამდენჯერმე ესროლა. მსუბუქათ დაიჭრა ორი დედაკაცი და ერთი სახლი დაზიანდა. 26 მარტს, საღამოს პანჩევოს გეზით თოფების სროლის ხმა ისმოდა, ალბათ ავსტრიის ჯარის ნაწილებთან შეტაკება თუ მოხდა.

ვაშინგტონი. 31 მარტი. ვოლფის საგენტოსაგან გავრცელებულ ცნობის გამო იმის შესახებ, რომ პაპი გამოსთქვამს სურვილს შეერთებულ შტატებს დაუჭიროს მხარი, რომელიც ზავის ჩამოგდებას ცდილობს, პრნზიდენტმა ვილსონმა განაცხადა, რომ მას არავითარი ამგვარი ცნობა არ მიუღია, ამასთან ვილსონმა დაუმატა, რომ გავრცელებული ხმები, ვითომ შეერთებულ შტატების მთავრობას მიეღოს ცნობა ზავის პირობების შესახებ, ყოველგვარ სიმართლეს არის მოკლებულია.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სოფიიდან ცნობაა, ინგლისის ჯარი გაცხარებული ემზადება დესანტის მოსახდენათ. ახლო მომავალში დარდანელის სრუტეს გასარღვევათ შემუშავებულ სამხედრო გეგმის შეცვლას მოელიან. ინგლისელებმა კუნძულ ტენედოსიდან ყველა ჟურნალისტი გააძევეს.

——

ოდესიდან იტყობინებიან, რომ ახალ სადესანტო ჯართან ერთად მარსელიდან დარდანელთან მივიდა გენერალი ბომანიო. მის მისვლისათანავე გალიპოლის ნახევარ კუნძულზე მოკავშირეთა ჯარი შევიდა და დაიკავა კონატის მაღლობები. კუნძულები ლემნოსი და ტენედოსი სამხედრო ბანაკათ გადააქციეს, ორთქლმავლებისა და კატერების მიმოსვლა განუწყვეტლივ სწარმოებს.

——

ათინიდან ცნობაა—მოკავშირეთა ჯარი ხშელეთით ემზადება სმირნაში შესასვლელათაო.

——

ავსტრიასთან სეპარატიულ ზავის გამო საფრანგეთის პრესაში გაცხარებული კამათია. გაზეთებს არ სჯერათ სეპარატიულ ზავის შესახებ გავრცელებული ხმები ფიქრობენ, სეპარატიული ზავის საკითხი აღიძრება მხოლოდ მაშინ, როცა ავსტრიელები საკმაოთ დამარცხდებიან უნგრეთშიო. თუმცა ამავე დროს საეჭვოთ არ მიაჩნიათ ის ფაქტიც, რომ პაპმა გაიფრთხილა ფრანც-იოსები, რომ მისი მოვალეობაა თავიდან აიცილოს სახელმწიფოს დაცემა, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს ტერიტორიალური მსხვერპლი.

ომიანობის იდეოლოგიისა.

(გაზეთებიდან)

დასასრული იხილე „სამშ.“ № 46.

ასე ქადაგობს დღეს გენერალი ბერნგარდი ამერიკაში და წინათაც ის თავის წიგნში ამტკიცებდა, რომ, ძალა იმავე დროს არის უმაღლესი უფლებაც და კითხვა იმაზე, თუ ვის მხარეზეა უფლება მხოლოდ ერთადერთი გზით—ომის საშუალებით წყდებაო“. სახარებაში კი სწერია: მიუშვირე მარცხენე შენი ყვრიმალი მას, თუ ვინმე მარჯვენესა მას გცხოსო.

ასე ქადაგებდა ქრისტე და აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ის ომის სასტიკი წინააღმდეგი იყო; მარა მიუხედავათ ამისა გერმანიაში დღეს ქრისტეს მოძღვრების მაღიარებელი ხალხს პასტორები სულ სხვას უქადაგებენ და ქრისტეს მცნებას სულ ერთიანად აუკულმართებენ.

ერთ გაზეთში მოთავსებულია ნემეცპასტორის, ბ. შპეერის სიტყვა, რომელსაც თვითონ გაზეთი ძალიან აქებს და რომლის შინაარსიც შეეხება „ომის გაშუქებას სახარების თანახმათ“.

ამ პასტორულ სიტყვით, გერმანია ომის დაწყების დროიდან სახარების თანახმათ მოქმედებს, როგორც ბელგიის შესახებ, ისე სხვაგანაც. „სახარება, როგორც კაცთა შორის სათნოებისა და სიყვარულის მახარობელი მოძღვრება, რასაკვირველია, თანაგრძნობით ვერ შეხედავს ადამიანთაგან ერთმანეთის ჟლეტას, მარა ისიც უნდა ითქვას, განაგრძობს პასტორი, რომ ის „მშვიდობა“ რომელსაც სახარება გვიქადის სულაც არაა პოლიტიკური მშვიდობიანობა ადამიანთა შორის:

ეს არის რელიგიოზური მშვიდობიანი განწყობილება, ღმერთსა და კაცთა შორის... სახარება მხოლოდ რელიგიურ პროპაგანდას გვიკრძალავს იარაღით ვაწარმოვოთ ის, მარა ამას ლოზუნგთან—„ძირს იარაღი“—საერთო არაფერი აქვს, რაკი ის ძალა-უფლების მატარებელთა ხმლის უფლებასაც აღიარებს. მახარობელნი ქვეყნათ მშვიდობის დამყარებაზე სულაც არ ფიქრობდენ, პირიქით ისინი ომს ქვეყნისთვის აუცილებელ საჭიროებათ თვლიდენ. რაც შეეხება ქრისტეს რჩევას, რომ თუ ვინმემ მარცხენა ყბაში გაგარტყას, მარჯვენა მიუშვირეო, ბ. შპეერის აზრით, ეს სულაც არ ნიშნავს გერმანიისათვის იმას, რომ თუ მას აღმოსავლეთ პრუსიას ართმევენ, დასავლეთის პრუსიაც დათმოს“. ასე ხსნიან და განმარტავენ დღეს ომიანობის დროს სახარებას „ქრისტეს მიერ მოყვარულნი“ და ძმანი მათნი! რას ნიშნავს ეს?

მხოლოდ იმას, რომ დღევანდელი საზოგადოების იდეოლოგები, რა ჯურისაც უნდა იყვენ ისინი, მხოლოდ იმის ცდაში არიან, რომ ხალხს ომი დიდ საკეთილო, საქვეყნო საზოგადო საქმეთ მოაჩვენონ და მით ამით ეს უზომო მსხვერპლი, რომელსაც იგი ამა ქვეყნისანის ძლიერთა სასარგებლოთ სწირავს, მხოლოდ „კანონიერ მოვალეობის“ შესრულებათ, „საღმთო ვალის გადახდათ“ დასახონ და მეტი არაფერი!.

დ—ელი.

ვაჭრების თავგასულობა.

ამჟამათ შაბიამანი ქუთაისში ფასობს 14 მანეთად. შარშან კი ღირდა 4 მანეთი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, წელს საზღვარგარეთიდან შაბიამანი არ შემოუტანიათ. რადგან ომის გამო შეუძლებელი იყო შემოტანა. ისიც კარგათ ვიცით, რომ შარშანდელი შაბიამანი იმდენი არის დარჩენილი, რომ მთელი შორაპნის და ქუთაისის მაზრას ეყოფა. მაშრა მიზეზი არის, რომ ვაჭრებმა 10 მანეთი მოუმატეს ფუთზე? მესმის, რომ დღევანდელ შემოტანილ საქონელზე მოუმატონ ფასი, რადგან რკინისგზის ტარიფი მომატებულია; მაგრამ შარშანდელ საქონელზე ამდენის მომატება რას ნიშნავს? რათ არ შედიან ეს ვაჭბატონები მშრომელი ხალხის მდგომარეობაში? კარგათ იციან, რა მდგომარეობაშია დღესდღეობით მშრომელი ხალხი. სხვა უმთავრეს მიზეზებს რომ თავი დავანებოთ, ეს ოთხი წელიწადია სისტემატიურათ მოსავალი ქუთაისის გუბერნიაში ძალიან ნაკლები იყო. გურია-სამეგრელოში 1913-ში თუ საშუალო მოსავალი მოვიდა, სამაგიეროთ ზემო და ქვემო იმერეთში თითქმის მოსავალი არ მოსულა. შარშან 1914 წელში ზემო და ქვემო იმერეთში საშუალო მოსავალი იყო, სამაგიეროდ გურიასა მეგრელოში ჩემი თვალით ვნახე, რომ სრულებით თითქმის არაფერი მოსულა. და მთელი ეს მხარეები, რომლებიც ნაქები იყვენ სიმინდის მოსავლით, დღეს-ღეობით შიმშილს განიცდიან. ამაზე მეტი სამწუხარო ის არის, რომ მთელ გურია-სამეგრელოს სიმინდის თესლიც არა აქვთ, რომ მომავალში ყანები დასთესონ. ნუთუ, ბატონებო, ასეთი კრიტიკული მდგომარეობის დროს არ უნდა შეხვიდეთ ხალხის მდგომარეობაში! მე იმას არ მოგახსენებთ, რომ ტყუილა დაურიგეთ, ანუ იაფათ მიეცით-მეთქი, მხოლოდ მოუმატეთ ფუთზე 2—3 მანეთი, გეყოფათ, ნუ გაიღრმავებთ თქვენ მგლურ მადას; იქონიეთ საზღვარი. ვაჭრებსაც უნდა ჰქონდეს ნამუსი. მაშ რითი გაგარჩეოთ თქვენ და ავაზაკები?

მადლობა ღმერთს, რომ ბ-ნ ანანოვს სარდაფი აქვს ქუთაისის მაზრაში, თორემ თქვენ დაახრჩობდით ყველა იმ მევენახეებს, რომლებიც ყურძენს ჰყიდიან ქუთაისის ბაზარზე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ 1913 წელში, როდესაც ანანოვი გაიტაცეს შანტაჟისტებმა, ანანოვმა დროებით სარდაფი დახურა და ყურძენს აღარ ყიდულობდა. ამისათვის მთელი ბაღდათის მხარე იძულებული გახდა ყურძენი ქუთაისში შემოეტანა გასასყიდათ. იმ ყურძენში, რომელშიაც ანანოვი აჯამეთში აძლევდა თვრამეტ შაურს და მანეთს ფუთში, თქვენ აქ, ქუთაისში შეაძლიეთ ათი შაური. ნუ დაგავიწყდებათ, რომ აჯამეთიდან ქუთაისამდის 13 ვერსია. მახსოვს, იმ დროს ორ დღეს სასტიკი სიცივე და წვიმა იყო. ამ პირობებში დღენახევრის განმავლობაში 1500 მეურმე გარეთ ეყარენ თავიდან კოპეგამდის დასველებულნი. ბოლოს იძულებული შეიქნენ სამ აბაზათ გაეყიდათ საუკეთესო ცოლიკაურის და კრახუნის ყურძენი; ღრმათ დარწმუნებული ვარ, ანანოვს რომ სარდაფი არ გაეხსნა, მარტო ბაღდათის მხარეს რამოდენიმე ათასი მანეთის ზარალი მოუვიდოდა. დღესაც დიდი ზარალი მოუვა მთელ მევენახეებს თქვენი აღვირ წახსნილი მადის გამო: უმრავლესობა ვერ შეიძლებს შაბიამნის ყიდვას და მიენდობა ჰაერს. რაც უნდა კარგი ამინდი იქნეს, საკმაო გამოცდილებიდან ვიცი, რომ უაქიმო ვენახი არავითარ მოსავალს არ იძლევა, რადგან შეუძლებელია, თუ შაბიამნის სითხე ვენახს არ მიესხურა, ფოთლები კვირიკობისთვეში სრულიად დაიხრუკება, ყურძენი ამის გამო დაკუხდება და აღარ დამწიფდება.

ამ სერიოზული საკითხის გამო საჭი-

ნავთი	5,047,010	„	ინდოეთი.
სხვა საქონ.	1,968,740	„	—
ნავთი	2,450,160	„	საფრანგეთი.
ნავთი	1,475,410	„	გერმანია.
სხვა საქონ.	156,140	„	—
ნავთი	1,183,240	„	ავსტრია.
სხვა საქონ.	222,680	„	—
ნავთი	902,580	„	ბელგია.
სხვა საქონ.	12,290	„	—
ნავთი	1,700,949	„	ჩინ. და იაპ.
ნავთი	3,700,940	„	ოსმალეთი.
სხვა საქონ.	497,770	„	—
სხვა საქონ.	521,550	„	ამერიკა.
ნავთი	88,960	„	რუმინია.
ნავთი	1,289,490	„	ჰოლანდია.
სხვა საქონ.	5,380	„	—
ნავთი	2,552,840	„	სხვა ქვეყნ.
სხვა საქონ.	100	„	—
ნავთი	1,927,320	„	სუეც. სრუტ.

სულ . . 29,460,380 მან.

1896 წ. შემოიზიდა:

სხვა საქონ.	3,462,310	მ.	ინგლისი.
ნავთი	532,740	„	ინდოეთი.
სხვა საქონ.	366,050	„	—
ნავთი	246,070	„	გერმანია.
სხვა საქონ.	818,940	„	ავსტრია.
სხვა საქონ.	228,260	„	ბელგია.
ნავთი	356,580	„	ოსმალეთი.
სხვა საქონ.	300	„	ამერიკა.
ნავთი	1,603,250	„	რუმინია.
სხვა საქონ.	202,500	„	სხვა ქვეყნ.

სულ . . 7.817,090 მან.

1897 წ. გაიზიდა:

ნავთი	2,451,240	მ.	ინგლისი.
სხვა საქონ.	81,000	„	—
ნავთი	2,784,784	„	ინდოეთი
ნავთი	1,780,194	„	საფრანგ.
სხვა საქონ.	900,420	„	—
ნავთი	1,471,550	„	გერმანია
სხვა საქონ.	151,500	„	—
ნავთი	1,209,210	„	ავსტრია
სხვა საქონ.	202,600	„	—
ნავთი	998,830	„	ბელგია
სხვა საქონ.	10,200	„	—
ნავთი	93,930	„	ჩ-ნ. და იაპ.
ნავთი	4,589,600	„	--
სხვა საქონ.	503,020	„	ოსმალეთი.
ნავთი	901,700	„	რუმ-ნია
ნავთი	190,530	„	ჰოლანდია
ნავთი	3,921,410	„	სუეც. სრ.
ნავთი	1,549,510	„	ამერიკა
ნავთი	3,278,600	„	სხვ. ქვეყ.

სულ 31,536,260 მ.

1897 წ. შემოიზიდა:

სხვა საქონ.	3,589,970	მ.	ინგლისი
ნავთი	581,000	„	ინდოეთი
სხვა საქონ.	656,620	„	საფრანგ.
სხვა საქონ.	330,220	„	გერმანია
სხვა საქონ.	767,410	„	ავსტრია
სხვა საქონ.	201,640	„	ბელგია
ნავთი	1,290	„	ჩინ. და იაპ.
სხვა საქონ.	705,920	„	ოსმალეთი
ნავთი	861,620	„	რუმინია
ნავთი	107,290	„	სხვ. ქვეყ.

სულ 7,871,290 მ.

1898 წ. გაიზიდა:

ნავთი	4,250,910	მ.	ინგლისი
სხვა საქონ.	84,360	„	—
ნავთი	5,815,100	„	ინდოეთი
ნავთი	2,008,170	„	საფრანგ.
სხვა საქონ.	923,630	„	—
ნავთი	2,001,470	„	გერმანია
სხვა საქონ.	142,360	„	—
ნავთი	1,258,320	„	ავსტრია
სხვა საქონ.	221,470	„	—
ნავთი	1,663,970	„	ბელგია
სხვა საქონ.	125,100	„	—
ნავთი	1,063,610	„	ჩინ. და იაპ
ნავთი	3,876,620	„	ოსმალეთი
სხვა საქონ.	564,010	„	—
ნავთი	294,930	„	რუმინია
ნავთი	158,630	„	ჰოლანდია
ნავთი	1,807,330	„	ამერიკა
ნავთი	4,247,910	„	სუეც. სრ.
ნავთი	3,887,400	„	სხვ. ქვეყ.

სულ 34,395,300 მ.

1898 წ. შემოიზიდა:

სხვა საქონ.	4,475,180	მ.	ინგლისი
ნავთი	432,000	„	ინდოეთი
სხვა საქონ.	607,420	„	საფრანგ.
სხვა საქონ.	371,610	„	გერმანია
სხვა საქონ.	721,500	„	ავსტრია
სხვა საქონ.	183,240	„	ბელგია
სხვა საქონ.	683,700	„	ოსმალეთი
ნავთი	1,125,280	„	ჰოლანდია
ნავთი	70,370	„	სხვ. ქვეყ.

სულ 8,670,400 მ.

1899 წელს. გაიზიდა:

ნავთი	12,213,730	მან.	
სხ. საქონელი	98,210	„	ინგლისი
ნავთი	7,226,980	„	ინდოეთი
ნავთი	3,989,140	„	—
სხ. საქონელი	1,067,410	„	საფრანგ.
ნავთი	3,266,570	„	გერმანია
სხ. საქონელი	184,210	„	—
ნავთი	2,069,220	„	—
სხ. საქონელი	252,320	„	ავსტრია
ნავთი	2,571,880	„	ბელგია
სხ. საქონელი	142,110	„	—
ნავთი	6,711,040	„	ჩინ. და იაპ.
ნავთი	4,345,590	„	ოსმალეთი
სხ. საქონელი	607,420	„	—
ნავთი	441,000	„	რუმინია
ნავთი	1,404,300	„	ჰოლანდია
ნავთი	8,306,810	„	სუეც.სრუტ.
ნავთი	1,842,400	„	ამერიკა
ნავთი	6,844,300	„	სხვა ქვეყნ.

სულ 63,584,640 მან.

1399 წელს შემოიზიდა:

სხ. საქონელი	8,617,000	მან.	ინგლისი
სხ. საქონელი	700,000	„	საფრანგ.
ნავთი	1,227,500	„	გერმანია
სხ. საქონელი	700,000	„	ავსტრია
სხვა საქონელი	210,000	„	ბელგია
სხვა საქონელი	400,000	„	ოსმალეთი
ნავთი	2,146,640	„	რუმინია
ნავთი	693,000	„	სხ ქვეყნ.

სულ 14,993,900 მან.

1900 წელს გაიზიდა:

ნავთი	10,915,620	მან.	
სხ. საქონელი	112,010	„	ინგლისი
ნავთი	4,803,510	„	—
ნავთი	3,072,680	„	ინდოეთი
სხ. საქონელი	1,722,930	„	საფრანგ.
ნავთი	3,152,720	„	—
სხვა საქონელი	277,940	„	გერმანია
ნავთი	1,562,620	„	ავსტრია
სხ. საქონელი	245,000	„	—
ნავთი	2,751,940	„	ბელგია
სხ. საქონელი	134,210	„	—
ნავთი	2,223,000	„	ჩინ. და იაპ.
ნავთი	9,112,050	„	ოსმალეთი
სხ საქონელი	493,000	„	—
ნავთი	400,000	„	რუმინია
ნავთი	1,207,600	„	ჰოლანდია
ნავთი	6,903,240	„	სუეც. სრ.
ნავთი	1,450,000	„	ამერიკა
ნავთი	1,402,070	„	სხ. ქვეყ.

სულ 51,047,240 მან.

1900 წელს შემოიზიდა:

სხ. საქონელი	6,101,520	მან.	ინგლისი
სხ. საქონელი	1,267,960	„	საფრანგ.
სხ. საქონელი	1,289,470	„	გერმანია
სხ. საქონელი	922,810	„	ავსტრია
სხ. საქონელი	279,500	„	ბელგია
სხ. საქონელი	810,900	„	ოსმალეთი
ნავთი	1,293,860	„	რუმინია
ნავთი	7,368,630	„	სხ. ქვეყნ.

სულ 19,333,850 მან.

ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულება უცხოეთთან.

წერილი ლონდონიდან.

(მიმოხილვა 1884-დან 1912 წ—დი).

შემდეგი იხილე „სამშობლო“-ს №№ 29—47

1894 წ. გაიზიდა:	1894 წ. შემოიზიდა:	
2,503,700 მ.	4,173,850 მ.	ინგლისი.
3,907,690 „	—	ინოდოეთ.
4,203,610 „	432,260 „	საფრანგ.
2,001,730 „	21,500 „	გერმანია.
2,853,120 „	851,240 „	ავსტრია.
2,800,270 „	122,800 „	ბელგია.
3,902,130 „	40,250 „	ჩინ. დ იაპ.
2,201,400 „	—	ოსმალეთი
1,277,690 „	—	ამერიკა.
69,230 „	613,200 „	რუმინია.
739,000 „	705,120 „	სხ. ქვეყნ.
სულ 26,459,570 მ.	6,960,220 მ.	

1895 წ. გაიზიდა:	1895 წ. შემოიზიდა:	
4,371,200 მ.	3,420,370 მ.	ინგლისი.
5,593,280 „	287,680 „	ინდოეთი.
5,143,280 „	547,240 „	საფრანგ.
1,641,250 „	255,710 „	გერმანია.
4,034,310 „	1,415,160 „	ავსტრია.
2,304,220 „	245,880 „	ბელგია.
2,008,660 „	—	ჩინ. დ იაპ.
3,039,400 „	205,860 „	ოსმალეთი.
928,410 „	—	ამერიკა.
157,840 „	839,950 „	რუმინია.
2,408,870 „	—	ჰოლანდია.
3,667,080 „	83,320 „	სხვ. ქვეყნ.
5,261,910 „	—	სუეც.სრუტ.
სულ 40,559,710 მ.	7,301,170 მ.	

1896 წ. გაიზიდა:

ნავთი	3,430,140	მ.	ინგლისი.
სხვა საქონ.	77,910	„	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეგნებულმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას, და მიმართოს, სადაც ჯერ არს, რათა ალაგმული იქნეს ვაჭრების ასეთი უმგვანო თარეში, თორემ ხალხი დაიღუპება.

უმორჩილ ათ ვთხოვ რუსულ გაზეთს გადაბეჭდოს ეს წერილი.

პ. მაქელაძე.

ახალი ამბავი.

გუშინ, 2 აპრილს, დილით წყალტუბის მინერალური წყლების დასათვალიერებლათ ქუთაისიდან გაემგზავრა ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი კამერიუნკერი პოტულოვი, ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, გუბერნიის ინჟენერი ბ. ავსარქისოვი, ექიმები და ქალაქის რამდენიმე ხმოსანი.

✦ ქალაქის საბჭოს ფინანსიური კომისია ქალაქის 1915 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის განხილვას უკვე შეუდგა.

✦ 1 აპრილს, საადგილ მამულო ბანკის დარბაზში დღის პირველ საათზე მოხდა ამ ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის წევრთა წლიური კრება. კრება გახსნა ბანკის თავჯდომარემ თავ. მ. ფალავამ, რომელმაც კრებას მოახსენა, რომ თავჯდომარე აერჩიათ. თავჯდომარეთ არჩეულ იქნა თვით მ. ფალავა.

კრებამ აკაკის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა შემდეგ განიხილეს წლიური ანგარიშები, რომელიც კრებამ ერთხმათ დაამტკიცა. შემდეგ მოხდა არჩევნები, რომელზეც საპენსიო კასის კომიტეტის წევრათ აირჩიეს გამგეობიდან ი. ს. ფანცხავა, საბუღალტერო განყოფილებიდან ს. ა. ეორეოლაძე, კანცელარიიდან ა. ლოლაძე, დამფასებელი კომისიიდან თავ. ნ. ლორთქიფანიძე, მათ კანდიდატებათ ვ. ხარაბაძე, თავ. ა. მიქელაძე, ბიკ. ასათიანი.

ბუღალტრათ აირჩიეს თავ. ბ. ჯაიანი. საქმის მწარმოებლათ ე. ჭარხალაშვილი.

✦ გუშინ, დილით, ბალახვანის ქუჩაზე შაბათა ურია ცხენს მიაჭროლებდა, რომელიც ქუჩაზე მიმავალ მსახიობ ქალს ნ. ჯავახიშვილს დაეჯახა. ქ-ნი ჯავახიშვილი ცხენმა წააქცია. მსახიობ ქალს ნაცნობებმა მზრუნველობა გაუწიეს და თეატრის ნაცვლათ სახლში ეტლით წაიყვანეს. კარგი იქნებოდა, რომ ქუჩებზე ცხენებით ფრთხილათ გაივლიდნენ.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა, სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას, როგორც წევრთ ისე არა წევრთ და მამაკაცებს დაესწრონ სხდომას, რომელზედაც გარჩეულ იქნება შემდეგი კითხვები: აკაკის ძეგლის ასაგებ ფონდის დასაარსებლათ ქ. ქუთაისში და უფასო სასადილოს გახსნა სათადარიგო ჯარის კაცთა ბავშვებისათვის. კრება შესდგება დღეს 3 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, საღამოს 7 საათზე.

✦ სამეურნეო კომისიისა და სანოვაგის მონწყობი კომიტეტის შეერთებულმა კრებამ ვაგონები ქუთაისის ვაჭრებს სანოვაგის შემოსატანათ ამ რიგათ გაუნაწილა: ფქვილისათვის: 3 ვაგონი მ. მოშიაშვილს, ორ-ორი ვაგონი ლომაძეს, მარდ. კაკიტელაშვილს, რაფ. კაკიტელაშვილს, ვაჩაძეს, მოშ. კაკიტელაშვილს ი. რიჟინაშვილს, და ერთი ვაგონი ნ. ჯანელიძეს. შაქრისათვის თითო ვაგონი გოკიელსა და მელაშვილს. ნავთისათვის თითო ვაგონი ნარსიასა და ბარქაიას. სიმინდისათვის ორ-ორი ვაგონი მ. რუხაძესა და კ. ყ. დათეშიძეს. თივისათვის ორი ვაგონი მ. რუხაძეს. კარტოფილისათვის 2 ვაგონი ვ. კუარაშვილს.

აგრეთვე რამდენიმე ვაჭარს მისცეს ნება სანოვაგე ფუთობით მოიტანონ.

✦ ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში სოფლებიდან სანოვაგის შემოტანამ ძლიერ იკლო. სანოვაგის შემოუტანლობის მიზეზი სოფლად მუშაობის დაწყებაა.

✦ ებრაელების უბანში ამ ჟამათ დიდი უსუფთაობაა. მცხოვრებლები ნარეცწყალსა და სხვა სიბინძურეს ქუჩაში ღვრიან. თეთრეულებსა და ჟანგიან ჭურჭლებს მდ. რიონის პირათ რეცხვენ რაც სახადის გავრცელებას ხელს უწყობს. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

დღეს, 3 აპრილს, თფილისს მიემგზავრება საგუბერნიო აგრანომი კ. ბერიკაშვილი, რომელიც დაესწრება შაბათს, 4 აპრილს, კავკასიის საიმპერატორო საზოგადოების კრებას. კრებას მიზნათ აქვს განიხილოს, თუ როგორ შეუწყოს ხელი ვენახების წამლობას.

✦ შაბათს, 4 აპრილს, საზოგადო საკრებულოში შესდგება მასკარადი ერთი პრიზით.

✦ ქუთაისის მედუქნეებმა ნავთის გაყიდვაში დიდ უწესოებას იჩენენ. ჯერ ერთი, რომ მეტ ფასებში ჰყიდიან და მეორე, თუ მათი ძველი მუშტარი არა ხართ, ისე არც კი მოგყიდიან.

✦ აპრილის თვის განმავლობაში საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში სხდომები შემდეგ რიცხვებში იქნება: 3, 4, 6, 7, 8, 10, 11, 13, 14, 15, 17, 18, 20, 21, 22, 24, 25, 27, 28 და 29 აპრილს.

✦ საოლქო სასამართლოს სესია საქ-

გაზიდვა-შემოზიდვის ცხრილი ქვეყნებზე მარტო 1901 წელს მოგვეპოება.

1884—1895 წ. გაზიდვის ცხრილში აღნიშნულ ღირებულობაში ნავთიც შედის.

1896—1900 წ. გაზიდვის ცხრილში ნავთი გამოცალკევებულია.

ფოთის ნავთსადგურისათვის ცხრილი ცალკე არ არის შემუშავებული, რადგან იქიდან გაზიდული საქონელი უმთავრესად მარტო მარგანეცი და სიმინდია.

1905 წლიდან ნავთის გაზიდვა ბევრ, მოხსენებულ ქვეყნებში სრულიად შეწყდა.

უცხოეთის გემების მიმოსვლა ბათომის და ფოთის ნავსადგურში.

1885 წელს ბათუმში შემოვიდა.

ინგლისის	68	გემი	73,701 ტონა
საფრანგ.	87	„	109,590 „
ავსტრიის	99	„	65,198 „
იტალიის	37	„	19,268 „
გერმანიის	11	„	11,472 „
სხ. ქვეყნებ.	142	„	24,420 „
სულ	444	გემი	303,639 ტონა.

1886 წ. ბათომში შემოვიდა.

ინგლისის	97	გემი	104,049 ტონა
საფრანგ.	61	„	88,999 „
ავსტრიის	108	„	83,500 „
იტალიის	48	„	23,492 „
საბერძნეთ.	49	„	15,814 „
გერმანიის	15	„	15,278 „
ოსმალეთის	126	„	8,230 „
სხვ. ქვეყნ.	15	„	9,892 „
სულ	512	გემი	349,304 ტონა.

1886 წ. შემოვიდა ფოთში:

ინგლისის	71	გემი	64,722 ტონა
საფრანგ.	6	„	8,846 „
საბერძნ.	29	„	13,844 „
ნორვეგიის	3	„	2,430 „
დანიის	1	„	686 „
სხ. ქვეყნ.	12	„	3,820 „
სულ	122	გემი	94,348 ტონა.

1888 წ. შემოვიდა ფოთში.

ინგლისის	48	გემი	48,912 ტონა
გერმანიის	7	„	10,066 „
ბელგიის	1	„	1,194 „
საფრანგ.	5	„	8,236 „
იტალიის	1	„	864 „
საბერძნ.	6	„	1,266 „
ოსმალეთის	39	„	3,284 „
სულ	107	გემი	73,722 ტონა.

1889 წ. შემ. ფოთში.

ინგლისის	39	გემი	47,972 ტონა
გერმ.	3	„	3,424 „
ბელგ.	1	„	0,972 „
საფრ.	10	„	13,088 „
იტალ.	5	„	6,528 „
საბერძ.	8	„	6,892 „
ოსმალ.	49	„	1,184 „
ნორვეგიის	2	„	2,224 „
სულ	127	გემი	82,284 ტონა.

1888 წ. შემ. ბათომში:

ინგლისის	180	გემი	210,453 ტონა
საფრ.	55	„	76,702 „
ავსტ.	72	„	54,433 „
საბერძ.	106	„	43,280 „
გერმ.	25	„	38,450 „
იტალ.	41	„	20,297 „
დანიის	11	„	12,634 „
ბელგ.	6	„	8,034 „
ნორვეგ.	5	„	5,336 „
ოსმალ.	101	„	19,620 „
შვეც.	1	„	1,314 „
სულ	603	გემი	390,453 ტონა.

დავით ღამბაშიძე.

(შემდეგი იქნება).

სამშობლოს შესასწავლი მასალები.

ს. ფარცანაყანები. (ფარცანაყანების საზოგ. ქუთ. მაზრა). სოფელი ფარცანაყანები ახლავს ქ. ქუთაისს თორმეტი ვერსის მანძილზე დასავლეთით; თუთხმეტი ვერსის მანძილზე დასავლეთით ფარცანაყანებზედ დაშორებულია დ. სამტრედია. ს. ფარცანაყანებს აღმოსავლეთით საზღვრავს სოფ. მუხიანი და ქვიტირი (ქვიტირის საზოგადოება), დასავლეთით მდინარე გუბისწყალი და სოფ. იანეთი, სამხრეთით სოფლები ბაში და საყულია (საყულიის საზოგ.) და ჩრდილოეთით კი სოფ. მაღლაკი (მაღლაკის საზოგადოება). ფარცანაყანები ვაკე მდელბარეობისაა, მიწის ნიადაგი ქვიანია და მოსავლისათვის ნაკლეული, თუ ძაან ნოტიო წელიწადი არ შეხვდა. ს. ფარცანაყანების მცხოვრებნი მისდევენ ხვნათესვას, მევენახეობას, რომელსაც ამ ბოლო დროში დიდი ყურადღება მიაქციეს და თითქმის ყველა მოსახლეს აქვს გაშენებული გადაბრუნებულ მიწაზე ნამყენი ვენახი ორას და ან ექვსას კვად. საჟნამდი, რომელიც კარგს მოსავალს იძლევა. მისდევენ აგრეთვე მეგაღლეობას, მეაბრეშუმეობასა და ხეხილების მოყვანას. მცხოვრებნი სთესენ სიმიდს, პურსა და ბამბას; და რადგანაც მიწის ნიადაგი ქვიანია და მოსავლისათვის ნაკლები, ამიტომ მცხოვრებნი მიდიან სხვაგან, ღებულობენ საღალოთ კარგ მოსავლიან ადგილებს, სთესენ სიმიდს და მოყავთ წლიური საზრდო; მაგალითად, საღალოთ ღებულობენ ბანკის ადგილებს სახელწოდებულს „სამაჩაბროს“, რომელიც ახლავს ფარცანაყანებს დასავლეთის მხარეზე რვა ვერსის დაშორებით.

საქონლის მოშენებას, საძოვარი ადგილების უქონლობის გამო, ნაკლებათ მისდევენ. აქ საშუალოთ რომ ვსთქვათ თითო ოჯახზე მოუწევს ერთი ულელი ხარი, ძროხა კი ხუთ მოსახლეზე სამი, ღორი ოჯახზე თითო, ცხენი ათ ოჯახზე ერთი, ცხვარი ათ ოჯახზე ერთი. შინაურ ფრინველებში—ბლომათაა იხვი, ქათამი, ბატი; ინდოური იშვიათადაა. ფრინველების ჯიში სამწუხაროთ ჩვეულებრივია, უბრალოა. კარგს სარგებლობას მოუტანს სოფელს რომ გაუმჯობესებული ჯიშის ფრინველების მოშენებას მიჰყოფდენ ხელს.

ხეხილის მოშენებას აქ ძაან მისდევენ და ძლიერაც ხეირობს. ბლომათაა აქ გაშენებული ბალის ხე, რომელიც ძაან სარგებლობას აძლევს მცხოვრებლებს; არის აქ კიდეე ბლომათ თუთის ხე. პირველი ადგილი უჭირავს ეკლის ხეს, რომლის გაშენებას აქ ენერგიულათ მიყვეს ხელი, კარგათაც ხეირობს და სარგებლობასაც კარგს აძლევს მცხოვრებლებს. სხვა ხეებთა შორის არის კიდევ მუხა, რცხილა და სხ.

მცხოვრებნი ყველა გლეხებია გარდა ორიოდე სასულიერო წოდებისა; მცხოვრებთა გვარებია: ფხაკაძეები, კიკვაძეები, ნიქაბაძეები, კუჭუხიძეები, ნუცუბიძეები კილაძეები, ლაღაძეები, კოხრეიძეები, ძნელაძეები, თევდორაძეები, აფრიდონიძეები, ბაძგარაძეები, გოდვაძეები, მარდალეიშვილები, გუბელაძეები, ხანიაძეები, გოცირიძე, კისკეიძე, გაბუნია და თითო ოჯახი სხვა გვარებიცაა.

მცხოვრებთა რიცხვი:

გლეხი.		სასულ. წოდ.		ს უ ლ.	
მამრ.	მდედ.	მამრ.	მდედ.	მამრ.	მდედ.
2769	2668	21	24	2890	2692

მატერიალურათ ფარცანაყანებლები ხელმოკლენი არიან. მათი სადგომები ფიცრულია; უფრო ხშირათ შუა ცეცხლით. გზები კარგია. ფარცანაყანებიდან ქუთაისში დადის დილეჟანსი; ფარცანაყანებში გადის აგრეთვე რკინის გზაც. აქვთ თვით ფარცანაყანებში პლატფორმა, სადაც ჩერდება მარტო სამგზავრო მატარებლები; დასავლეთით ახლავს აგრეთვე სადგური კოპიტნარი ოთხი ვერსის დაშორებით და აღმოსავლეთით სადგური მუხიანი სამი ვერსის დაშორებით. მდიდარ გლეხს სახნავი მიწა ექნება ტყიანათ და საძოვრიანათ 15 ქცევა, საშუალოთ შეძლებულს 10 ქცევა, ღარიბებს 3 ან 5 ქცევა. მდიდარს გლეხს ვენახი ექნება 600 კ. ს. ცხოვრების უმთავრესი სახსარი სიმინდია. მოსავალი ნაკლები იცის ვინაიდან მიწის ნიადაგი ქვიანია, მაგრამ როგორც ზევით მოვიხსენეთ ღებულობენ ბანკის კარგ მოსავლიან ადგილებს საღალოთ და იქ სთესენ სიმინდს, საიდანაც მოყავთ წლიური საჩრდ. სამწუხარო ის არის, რომ აქ არ მოიპოება არავითარი გაუმჯობესებული მიწის სამუშაო იარაღი. ვინაიდან სიმინდის მოსავალი აქ ნაკლებია, ამიტომ მცხოვრებნი სთესენ ბაღეულობას: საზამთროს, ნესვს, ხედუას, (მარწყვს) აშენებენ საადრიო ბალის ხეებს, რომელიც აქ ძლიერ ხარობს და კარგს მოსავალსაც იძლევა. მიაქვთ სად. მუხიანაში და იქ ყიდიან გამგზავნელებზე, რომლებიც ყიდულობენ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ზემო-ჩამოთვლილ ხილეულობას და აგზავნიან კავკასიის სხვადასხვა ქალაქსა და რუსეთშიც. კარგათ ხეირობს აგრეთვე აბრეშუმის ჭიაც. რომ აქ ვაჭრობა ჩარჩების ხელში არ იყოს, სოფელს შედარებით უფრო კარგი შემოსავალი ექნებოდა. იყიდება აგრეთვე შინაური ფრინველები, ყველი, სოფლის ნაწარმოებთ უფრო ხშირათ ადგილობრივი ჩარჩ-ვაჭრები იგდებენ ხელში.

არავითარ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქაური დედაკაცი მონაწილეობას არ ღებულობს. ის ყველაფერს დაშორებულია გარდა ოჯახისა.

ტანსაცმელ-სახურავი, როგორც მამაკაცების, აგრეთვე დედაკაცების ჩვეულებრივია, იმერული, თუმც ახლა და ახლა უმეტესათ ქალების შორის ხშირათ შეხვდებით ევროპიულ შლიაპებს და მაღალ ქუსლიან ფეხსაცმელს, აქაურების დროების გადატარებას შეადგენს ღვინის სმა, ეს სენი ისეა გავრცელებული, რომ ხშირათ, ტირილის დროსაც (ქელეხშიც) თვრებიან ხოლმე.

ერთად-ერთი დასაკრავი იარაღი არღანია, თუმცა ზოგიერთ ოჯახებშიც აქვთ გიტარა.

სწავლა-განათლებას ფარცანაყანელები გვარიანად მისდევენ; აქ არსებობს ერთი ორკლასიანი სამრევლო სკოლა და ორი სამინისტრო, რომელთა შორისაც ერთი ორკომპლექტიანია და ერთი ერთკლასიანი. შკოლები ინახება ხაზინისა და სოფლის შეერთებული ხარჯით. მოწაფეთა რიცხვი სამივე სკოლაში სამასამდეა ორივე სქესისა. ფარცანაყანებში ნახევარზე მეტი წერა-კითხვის მცოდნეა, ამიტომ ძლიერ საჭიროა სამკითხველო-ბიბლიოთეკა, მაგრამ, ეს საკითხი ჯერჯერობით მივიწყებულია. სწავლის სურვილი თანდათან მატულობს. აქაური ინტელიგენტები სხვადასხვა კუთხეში არიან გადახვეწილნი, თუ დრო-გამოშვებით სოფელს ეწვევიან, ვერც კი სცნობენ თავის მეზობლებს, და მათ შორის არავითარი შემაერთებელი ხიდი არ მოიპოება.

ფარცანაყანელებს აქვთ ბაზარი იარმაკა, რომელიც არის კვირაში ერთხელ დანიშნული სამშაბათობით, სადაც მოდიან მოვაჭრე ებრაელები ქ. ქუთაისიდან და კულაშიდან, და აგრეთვე სხვებიც. მოაქვთ ფართლეულობა და სხვა საწვრილმანი ღორები გასასყიდლ თ. იკრიბებიან ადგილობრივი მკვიდრნი, მოდიან აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებიდან მცხოვრებლები, მიაქვთ გასასყიდლათ ბატი, კვატი, ქათამი, ყველი, ყიდიან და თვითონაც ყიდულობენ საჭირო ნივთებს. ეს იარმარკა ეკუთნის საზოგადოებას და აქვთ წლიურათ იჯარით გაცემული ხუთ ს მანეთად, რომლის შემოსავალიც ხმარდება მარტო ერთ სამინისტრო ორკომპლექტიან სკოლას. დანარჩენი სკოლები კი მას მოკლებული არიან.

სამინისტრო სკოლისთვის ხალხში კრეფენ წლიურათ ორას მანეთს ხარჯების დასაფარავათ და სამრევლო სკოლისთვის კი თვით მოწაფეებს ახდევინებენ წლიურათ თითო მანეთს სკოლის ხარჯების საჭიროების დასაფარავათ. ამ ფულის გადახდა ძლიერ უძნელდებათ შეუძლებელ პირებს და მოწაფე სკოლიდან გაყავთ; სასურველია რომ ამ გარემოებას მიაქცევდენ ყურადღებას შეგნებული წევრები საზოგადოებისა და თვით ხალხიც რომ ბაზრის შემოსავალი, თუ ეს მოსახერხებელი იქნება, სხვა სკოლებსაც გაუზიარონ და მით მისცენ საშუალება ეიავის მოძმის შვილებს პირველდაწყებით სწავლის შეძენისა.

აქვე არის კერძო აფთიაქი, აქვთ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, აქვთ დაარსებული აგრეწოდებული ფარცანაყანეების საფერშლო პუნქტი, ყავთ დაქირავებული ფერშალი, რომელსაც აძლევენ წლიურათ ხუთას მანეთს.

ს. ფარცანაყანებში ტანს ბანდაგს მიყვება რიონის შტო, რომელზედაც არის გაშენებული წისქვილები, მხოლოდ კერძო პირების; შუაგულ ფარცანაყანებში გადის დიდი სახელმწიფო შროშა აგრეწოდებული ორპირის გზა, რომელიც მოდის ქუთაისიდან, გაივლის ფარცანაყანების სამმართველო სასამართლოსთან და ჩადის სამტრედიაში.

ფარცანაყანებში ოთხი ეკლესიის შენობაა: ორი წმიდაგიორგის სახელობაზე, ერთს უწოდებენ დიდს წმიდა. გიორგის სახელობისას ამაღლებისა და ქვაშვეთისა. ორი ეკლესიის შენობა წმიდა გიორგისა და ქვაშეთისა ახალი აგებულია და ახალი სტილისაა და ორი კი დიდი წმიდა გიორგისა და ამაღლების ფიცრულია და ძველი აგებული. წმიდა გიორგის ეკლესიების დღესასწაულს უქმობენ და დღესასწაულობენ ოცდა სამს აპრილს, ქვაშეთისას—ახალ კვირის სწორს აღდგომის მეთუთხმეტე დღეს, ამაღლებისას—აღდგომის მეორმოცე დღეს დღით ხუთშაბათს.

ამ სოფელში სხვა ზნე ჩვეულებათა შორის შესანიშნავია ტირილი—უზომო ხარჯი მიცვალებულის დასაფლავების დროს. უზომო ხარჯებს იწვევს აგრეთვე დღეობებიც. აქ სამი დღეობა იციან: გიორგობა, ქვაშვეთობა და ამაღლება. ამ დღეობებზე, თითო ოჯახს წლიურათ საშუალოთ რომ ვთქვათ, მარტო ღვინოში დაეხარჯება ხუთიდან ათ მანეთამდი (დღეობა ხანდახან ორ-ორ და ხან სამი დღე გაგრძელდება). მაშასადამე, სამას კომლს მარტო დღეობაზე ღვინოში ყოველ წელს დაეხარჯება 2,000 მანეთი და კიდევ მეტი. რაც სხვა ზედმეტი არა საჭირო ხარჯები მისდევს დღეობებს ყველამ იცის.

პ. მეფარიშვილი.

ოდეს დაჭრილი ქართველი ჯარისკაცნი ხარკოვში.

ვგზავნი ამ სიას. ყველა ჯარისკაცია. მათ მისამართს მიტომ არა ვწერ, რომ ერთ ადგილას თითქმის იშვიათად აჩერებენ ხან მეორე საავადმყოფოში მიყავთ ან და სულაც ხარკოვიდან მის ახლო-მახლო ადგილებში.

არჩუაძე ილია მიხეილის ძე, ქუთ. ახალაძე ალექსანდრე ნესტორის ძე, ბაღდათიდან. ბიგვა ნესტორ გუტას ძე, სენაკ. მაზ. გვასალია პორფილე გუდუს ძე, სენაკის მაზ. ელბაქიძე იასონ სოლომონის ძე, გორის მაზ. ემუხვარი სილოვან, სამურზაყანოს მაზრა, სოფ. ოკუმი. კიგენაიშვილი ივანე თეოფანეს ძე, სენაკის მაზ. კარაშვილი თევდო ნინიას ძე, დუშეთის მაზრა. კუკავა ბაგრატ შევაზეს ძე, ზუგდიდის მაზ. კალანდია სერგო დიმიტრის ძე, სენაკის მაზ. კილაძე კოწია იაკოს ძე, ქუთ. მაზ. ფარცხანაყანაველი. კალიჩავა ვასილი, სოხუმის მაზრა. კაკაია მოსე გიორგის ძე. კირვალიძე ალექსანდრე სიმონის ძე, თფილ. ოლქ. კილიაშვილი დათა სიმონის ძე, ქუთ. კოგლიძე ზაქარია ნიკოს ძე, ქუთ. ლეჟავა ივანე თეოფილეს ძე, სენაკის მაზრა. ლიტოდიანი აქსენტი ივანეს ძე, ცაგერის მაზრა. მამფორია ალექსანდრე სოლომონის ძე, ზუგდ. მაზრა. მიქაია მაქსიმე პეხეს ძე, სოხუმის მაზ. მინდელაია ეფრემი ანტონის ძე, ახალ სენაკის მაზ. მაისურაძე კიმოთე ოქრუას ძე, რაჭის მაზ. მეთოდიანი აქსენტი ივანეს ძე, ლეჩხუმის მაზრა. იობაძე ტარასი ვასილის ძე, ოფიჩხეთი. იანოვსკი ალექსანდრე ანდრიას ძე, ახალ სენაკის მაზ. ზიგულაია ნესტორი, სოხუმის მაზრა. პაკაშვილი აკაკი ეფრემის ძე, ქუთ. რომანოვი სერაპიონ ალექსანდრეს ძე, ქუთ. მაზ. (გაქართველებ.). სიჩინავა გიორგი, ქუთ. ტუხაშვილი ვანო გიგას ძე, სიღნაღის მაზ. ტუნჩია მოსე აბრამის ძე, ქუთ. შერაზარდიშვილი კოსტა გიგუას ძე, რაჭის მაზრა. ხუგაშვილი ლევანი ქუჯანას ძე, რაჭის მაზრა. ხოშტარია ვლადიმერ პეტრეს ძე, სენაკის მაზრა. ხინთიბიძე ილია დენისის ძე. ყალიჩავა ვასილი ვატატის ძე, სოხუმის მაზრა. ციცქაშვილი ვასილი თედოს ძე, შორაპნის მაზ. ჯაფარიძე კოსტანტინე, ქუთ. ჭანტურია ივანე, ქუთ. გოგიაშვილი სარქისი, გორის მაზ. უჩავა დათა ქუთ.

კოწია ჯულელი.

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვეგის
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის“, ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მიგიღეთ და გყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიებით და ნვრილათ.

სავარტიო საგაჭრო სააბაკანეთო და ეროვნ. საქონლის
ტ. ლ. გასილაძე და ა. მ. კილასონია
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა № 15—2

თესლი შემოწმებულია თფილისის საბრეშუმოს სადგურის მიერ. მიიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ განდეროლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული გალობა და მისი გედი.*)

დიადი შემოქმედებითი ნიჭის პატრონი ჩვენი ერი დღეს ბედის უკუღმა ტრიალმა იმოდენათ დაბეჩავა, რომ შემოქმედების ნაცვლათ წუწუნი-ღა გაისმის მისგან, წუწუნით გამოსთქვამს თავისს უნუგეშობას, თავისს უკმაყოფილობას.

მე XIX საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ არევდარევასთან ერთად მისი სოციალური არევ-დარევაც მოხდა და თავისს საკუთარ ნიადაგს მოკლებული ერი სხვის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას უფარდებაო, უხამებს თავის ცხოვრებას და აი, დღეს ჩვენი ერის მოღვაწეობა, მისი შემოქმედება ამ შეფარდების გარშემო ტრიალებს, ამ შეხამებაში გამოიხატება. როგორც ყოველი დარგი ჩვენი შემოქმედების, ისე გალობა ამავე მდგომარეობას განიცდის.

ყოველს პსიხოლოგიურ მოვლენას, ყოველს პსიხოლოგიურ ნამოქმედარს თავისი ევოლიუცია, თავისი წარსული და მომავალი, თავისი ისტორია აქვს. თუ რომ გვინდა ამა თუ იმ მოვლენის აწმყოს შეგნება, მისი წარსული უნდა შევისწავლოთ და თუ მომავლის გათვალისწინება გვსურს, აწმყო უნდა შევიგნოთ, რადგანაც ნამყო მშობელია აწმყოსა და აწმყო კი მომავლის. ესევე ითქმის ჩვენი საეკლესიო გალობის შესახებაც. ჩვენმა გალობამ ზრდა-განვითარების მხოლოდ ორი საფეხური განვლო. ამ გალობის დასაწყისი საბერძნეთშია. ჩვენმა ხალხმა სარწმუნოებასთან ერთად გალობაც საბერძნეთისაგან მიიღო, საბერძნეთისგან გადმოიღო. იმ დროს საეკლესიო გალობა თვით საბერძნეთშიაც განვითარების პირველ საფეხურზე იდგა. მაშინდელი გალობა უბრალო ღიღინს უფრო მოგონებს კაცს, მინამ დამუშავებული გალობის კილოს. ეს იყო აგრეწოდებული unison-ი. ამ unison-ს ჯერაც არ გაცილებია აზიაში მცხოვრები ზოგი ერი, რომელთაც თავი მოაქვთ თავისი მაღალი კულტურით და რომელთა უშნო, ულაზათო ცალფა ღიღინი გულს ჰყრის ევროპიულათ გემო განვითარებულ ადამიანს. ამ მხრივ კი ჩვენმა ხალხმა მათ წინ გაუსწრო და განვითარების მეორე საფეხურზე შედგა. მან ეს გალობა გაამშვენა, თავისი ეროვნული სული შთაბერა მას, გაასამხმოვანა და მეცხრამეტე საუკუნის კარებამდი მიიტანა. აქ კი მისი ბედიც უკუღმა დატრიალდა! ის განვითარების ნაცვლათ ერთ წერტილზე შედგა და დღესაც იქვე დგას. ზოგს იქნება დღესაც ახსოვდეს, თუ როგორ გაჩაღებული იყო ეს გალობა ჩვენ ეკლესიებში. ჩვენი ეკლესიების მშვენება, ჩვენი დამატკბობელი ეს გალობა იყო, ეკლესიების კი არა და ჩვენი სუფრის დამამშვენებელიც ის იყო. მაშინდელი მოლხენა ძლის პირების თქმით გამოიხატებოდა. კარგი მოქლხენი ის იყო, ვინც მეტ ძლისპირს იტყოდა გალობით. მაშინდელი ლხინი, ქეიფი პურის ჭამათ კი არა, წირვა-ლოცვათ ეჩვენებოდა კაცს შორიდან და დღევანდელი უწმაწური, ქუჩური სიმღერა-ღრიანცელის ნაცვლათ გუგუნი გაჭქონდა ძლისპირებს ორ-პირათ, ორ წყებათ. ახლა როგორის ხალისით სწავლობდენ და ასწავლიდენ ამ გალობას!

მასწავლებლები და მოსწავლენი თავს იყრიდენ სენაკებში ზამთრის დიდ ღამეებში და გატაცებით სწავლობდენ მას. არავითარი ძალდატანება, არავითარი იძულება არ იყო. ყველა, ვისაც ხმა და სმენა ნებას აძლევდა, თავის მოვალეობათ სთვლიდა, გალობა ესწავლა და წირვა-ლოცვა გაემშვენებია. ამიტომაც იყო, რომ მაშინ ეკლესიას ვერ ნახავდი ჩვენში ისე, რომ ორპირი გალობა არ ყოფილიყო. მაგრამ დღეს დრო გამოიცვალა, ძველი სადა ცხოვრება გართულდა და დღევანდელმა მრავალფეროვანმა ცხოვრებამ ალარავინ მოაცალა, ყველა აამოძრავა, ყველა წელებზე ფეხს იდგამს, დღე და ღამეს ასწორებს, რომ მრავალგვარი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

ცხოვრების გართულებამ შრომის განაწილება გამოიწვია და ამ გვარათ ყველა დარგში შემოიჭრა სპეციალობა. გალობაც სპეციალური საგანი შეიქნა და სენაკებიდან გადატანილ იქნა კონსერვატორიასა და კაპელებში და აქ მეცნიერულათ სწავლობენ მას. აქ ის გაათხმიანეს, გაამშვენეს და განვითარების უმაღლეს წერტილამდის აიყვანეს. ჩვენ კი კონსერვატორია და კაპელა კი არა უბრალო გალობის სკოლაც კი არა გვაქვს. ამიტომ ჩვენი გალობა განვითარების მაგიერ ერთ წერტილზე გაიყინა და საზრუნველათ ის-ღა გაგვიხდა, რომ სულ არ დაკარგულიყო, არ ამოფხვრილიყო. დღეს ამ განსაცდელს ნეტარ ხსენებული გაბრიელ ეპისკოპოზის თაოსნობით და განსვენებული ფილიმონ ქორიძის დაუღალავი შრომითა და მეცადინეობით რამოდენიმეთ თავი დავაღწიეთ ნოტებზე გადაღებით. ჩვენი გალობის აკკორდებსა და კრიმატულებს გალობის მცოდნენი განცვიფრებაში მოჰყავთ. მაგრამ რაც უნდა იყოს დღეს მშრალ მასალათ თუ გამოდგება და მეცნიერული დამუშავება უნდა, უნდა გაოთხმავდეს, გამშვენდეს. აი აქ სამკალი ფრიად არს, ხოლო ჯერ მუშაკი არა სჩანს. ასე ჩამორჩა დროს, ჩამოქვეითდა დღეს ჩვენი გალობა. ის დღეს ევროპიულათ სმენა განვითარებულ ყურს ეჩოთირება.

ვისაც ოპერები მოუსმენია, ვისაც ოთხმოვანი გალობა გაუგონია და ვინც ბორტნიანსკის, სტარორუსოვის, ტურჩანინოვის და სხვ. კონცერტებით დამტკბარა, ის ჩვენ სამ-ხმოვან გალობას ვერ მოისმენს, მისი სმენა მას ვერ შეიმშვენევს, რადგანაც ეს ყვავ ყორანის ჩხავილათ ესმის, მომაკვდავი კაცის ხრიალათ ეჩვენება. ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ ჩვენ გალობას გაურბოდენ და უცხოსთან მირბოდენ? უცხოს, მაგრამ თანამედროვე ჰანგებს მოისმენს, სმენას დაიამებს და გულს დაიტკბობს. მაშასადამე, დღეს იმის ჭაქანს კი არ უნდა ვალევდეთ ძალ-ღონეს, ენერგიას, რომ ჩვენი მკვდარი, რადგანაც ჩვენია, კარგიაო. არა, მკვდარი ვისიც უნდა იყოს ის, უარგისია, გამოუსადეგარია და თუ რამ შეგვიძლია ეს მკვდარი მასალა გავაცოცხლოთ, გადავხალისოთ ე. ი. გავაოთხმოვანოთ, გავამშვენოთ დროის და შესაფერათ და ისიც გაცოცხლდება, მკვდრეთით აღსდგება და ჩვენ ცხოვრებაში თავის შესაფერის! ადგილს დაიჭერს. მაშასადამე, ჩვენი საზრუნავია ის, თუ: რა გზით, რა საშუალებით შეიძლება ჩვენი გალობის გაოთხმოვანება, გაევროპიელება. აი საკითხი, აი საგანი, რომელზედაც უნდა ვმსჯელობდეთ, ვკამათობდეთ, თორემ ჭრელ წირვაზე წერია და ხუნდაძის მგალობელთა გუნდზე მოთქმით ფონს ვერ გავალთ, ცარიელი სიტყვაა, ხოლო სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არს. **დე—ზი.**

*) ამ წერილის დასტამბვა დაგვიგვიანდა. **რედ.**

დაბა-სოფელი.

დ. ზესტაფონი. კვირას, 29 მარტს, მოხდა ყვირილის საურთიერთო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა მორიგი წლიური საზოგადო კრება.

კრების თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ბ. ვლ. ჩხეიძე. კრებამ მოისმინა მოხსენებანი: 1) საბჭოსი, 2) სარევიზიო კომისიისა და 3) გამგეობისა.

საინგარიშო 1914 წლის საზოგადოების საერთო „ობოროტი“ უდრის 6.776 901 მ. 18 კ.; ის გასულ წელზე მეტია 159.098 მ. 12 კ.

განაღდებულ ვექსილთა საერთო ობოროტია 808.799 მ. 85 კ.; ის გასულ წელთან შედარებით 74.117 მ. 26 კ. მეტია.

საანგარიშო წლის შუა ხანებში განაღდებულ ვექსილთა პორტფელი ადიოდა 185.000 მანეთამდე. ხოლო ამ წლის 1 იანვარს ბალანსით ამ ანგარიშზე ირიცხება 158.296 მ. მოკლე ხანში კასაში შეუწუხებლად შემოვიდა 27.000 მანეთამდე საბათალო ფული.

საპროცენტო შენახული თანხის საერთო „ობოროტი“ უდრის 409.105 მან. 63 კ.; ის გასულ წელზე ნაკლებია 114 მან. 871 მ. 94 კაპიკით.

საკორესპონდენტო ანგარიშის საერთო ობოროტი აღწევს 755.502 მ. 62 კაპიკს; ის მეტია გასულ წელთან შედარებით 157.796 მ. 37 კაპიკით.

1 იანვრის ვალი შემცირებულია შედარებით 1914 წლის იანვრის ვალთან 9.102 მ. 30 კ-ით.

საკომისიო ოპერაციის საერთო ობოროტი გამოიხატება 739.515 მ. 19 კ., გასულ წელზე მეტია 20.027 მან. 31 კ.-ით.

ხარჯი ხარჯთ-აღრიცხვის დანიშნულებასთან შედარებით შემოკლებულია 1591 მან. 79 კაპიკით.

წინანდელი 10% ვექსილების განაღდების დროს არ შეცვლილა.

საზოგადოებამ მიიღო ამ საოპერაციო წელს 2.251 მ. 75 კ. წმინდა მოგება.

კრებამ 1914 წლის ანგარიში უცვლელად დაამტკიცა. მოგება გაანაწილა ამნაირად: 300 მ. მისცა გამგეობის წევრს მ. გაჩეჩილაძეს უსასყიდლოთ სამსახურისათვის; 400 მ. აკაკის სახელობის საახალგაზ. სახლის ფონდს, ზესტაფონში, 100 მ. თფილისის გადამწვარი თეატრის აღსადგენად, 50 მ. დარბეულ აპარლების შესაწევნელად, 50 მ. ხარაგაულის წიგნთსაცავთ-სამკითხველოს სასარგებლოდ, 225 მან. 18 კ. გადარიცხა სათადარიგო თანხაში, 248 მ. 75 კ. მიეცა ხაზინის სასარგებლოდ, დანარჩენი 877 მ. 82 კ. მიემატა საკუთარს მამულის და სახელის საძენად დაარსებულ ფონდსა.—1915 წლის ხარჯთ აღრიცხვა 8330 მან. დამტკიცდა.

დასასრულ არჩეულ იქმნენ ერთხმად შემდეგი სამი წლის ვადით გამგეობის თავმჯდომარე კ. გიგინეიშვილი და წევრი მ. გაჩეჩილაძე, საბჭოს წევრებად, ნაცვლად ბ. კელენჯერიძისა, ტ. ნიორაძისა და ს. გაჩეჩ-ლაძისა,—ალ. წერეთელი, არ. აბაშიძე და ს. მამლაძე,—სარევიზიო კომისიის წევრები ისევ ძველები დარჩენ, მათ კანდიდატებათ მოხვდენ არეშიძე და ჯაფარიძე.

სარევიზიო კომისია და საბჭო ერთხმად აღნიშნენ, მიუხედავად კრიზისა, საზოგადოების საქმეების რიგიანად, წესად და პირ-ნათლად მიმდინარეობის, გამგეობის მუყაითობისა გამო, რისთვისაც მადლობა გამოუცხადა საზოგადოებამ მის გამგებს.

კრებამ მოისმინა ერთის წევრის ბ. ტაბლაძის თხოვნა ფულის პატივების შესახებ უკიდურესი სიღარიბისა გამო. ამის თაობაზე დაადგინეს: გამგეობა შემდეგ კრებაზე შეიტანათიანათ მოეკიდოს ამ წევრს და მერმე იქონიოს კიდევ მსჯელობა მასზე.

კ. გძელი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ბ. რ. ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უდრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ამ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და დახმარება აღმოუჩინეს ომში გაწვეულ ჯარის კაცთა ოჯახებს. ჩვენ ქალთა კომიტეტი ვალდებულათ ვრაცხთ თავს მოვიგონოთ აქ, ამ პატივცემულ პირთა სახელები:

1) კნეინა ეკატერინა გელოვანისა 3 მ.
2) კნეინა ცაცა გელოვანისა 3 მ.
3) კ-ზ. გრამატონ ფ. გელოვანი 2 მ.

თითო მანეთი შემოსწირეს:

1) კნიაგინა ლუბა გელოვანის ასულმა, 2) ბიკტორ ახვლედიანმა, 3) ეარამან ეიფიანმა, 4) დავით წერეთელმა, 5) ხამსონ მდივანმა, 6) შელატონ ასათიანმა, 7) ესტატე ბენიძემ, 8) ალექსანდრე ჩიქოვანმა, 9) დეკანოზ მარკიანმა, 10) სერგო ვარდამოვმა, 11) დიმიტრი ახვლედიანმა, 12) ბერ. ჰიმენმა, 13) მაიკო ახვლედიანმა, 14) ლუბა სამთელაძისამ, 15) ნინი სამთელაძისამ.

ათათ-ათი შაური შემოსწირეს შემდეგმა პირებმა:

1) გიორგი ალ. ლორთქიფანიძემ, 2) კაცია ფრუიძემ, 3) კზ. მიშა ეიფიანმა, 4) ბიკენტი ჩაჩხიანმა, 4) კზ. ერეკლე გელოვანმა, 5) ნიკო ასათიანმა, 6) ეაფლან ასათიანმა, 7) ორენტი ასათიანი, 8) მიზანა ასათიანმა, 9) ალექსანდრე ახვლედიანმა, 10) სემი ასათიანმა, 11) კოწია ასათიანმა, 12) ტრიფონ ასათიანმა, 13) გიორგი ჯაბუკიანმა, 14) ლახსულიანმა, 15) გრიგოლ ჩიქოვანმა, 16) მღვდ. აკაკი ახვლედიანმა, 17) დისიონ ახვლედიანმა, 18) ალი გარდაფხაძემ, 19) მიხაილ გელოვანმა, 20) ზეზეკო გელოვანმა, 22) ვარლამ ახვლედიანმა, 22) მღ. სამსონ ფრუიძემ, 23) ვალერიან ჯაბუკიანმა, 24) მღ. სამსონ ირემაძე, 25) მღ. ბორფილ ჩხეტიანმა, 26) სეითო ირემაძემ, 27) ნიკო ახვლედიანმა, 28) ანიჩქა გორგასლაძისამ, 29) გრიშა ასათიანმა, 30) ანა ჯინჭარაძემ, 31) ელისაბედ სამთელაძისამ, 32) და დოსე დავითულიანმა. ამას გარდა სხვადასხვა პირებმა შემოსწირეს კიდევ თერთმეტი მანეთი.

სულ ხუთი თუმანი გთხოვთ ეს ფულები გადასცეს დანიშნულებისამარ.

მოთავენი შემკრებნი: **კნ. გელოვანისა, ცაცა გელოვანისა და კნიაგინა ლიდი გელოვანი.**

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში“ მოთავსოთ შემდეგი: 29 და 30 მარტს ვაკის ფონდის სასარგებლოთ სოფელ ზედა მაღლაკის ეკლესიაზედ შეკრიბა კნ. ელენე ზურაბის ასულმა ნიკარაძისამ თექვსმეტი მანეთი. მგოსანის ვაკის დაკრძალვაზე დასასწრებლათ გაგზავნილ კაცს მიეცა სამგზავროთ ექვსი მანეთი—დარჩა ათი მანეთი, რომელს ამასთანავე ვარდგენ. გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ*).

სოფელ ზედა მაღლაკის ბიბლიოთეკის გამგე მღ. **ტარასი ყუბანეიშვილი.**

*) რედაქციამ მიიღო ერთი თუმანი კნ. ელენე ნიკარაძის ხელით. **რედ.**

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე ქალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ოცის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი
გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ — თ.

სპეციალური სახელოსნო
პარმენ ამაღლობელის

(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).
ფეხსაცმელები ევრ. და აზიური,
როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.

ფასები სხვებთან შედარებით დაბალებულია.

ძმ. ყორჩოლაძის მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეიდის ქუჩა, საკუთ. სახლი.
მილეგ ულია საპნის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი. საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აბრეშუმის თესლი.
ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ძარხნის სარწყავი მანქანები.
და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.
ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის აქვე იმყოფება საწყობი ფემდეგი წიგნებისა.
მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება.
9) „Поэтъ Грузіи Акакій “ 10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ლიმბ,ლინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკოლაევ. პოლიტიკაზე 10 კ.
რუსული ლ ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.